ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიული კომისიის სხდომის
დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

სხდომის ჩატარების თარიღი: 2022 წლის 21 ნოემბერი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა, რუსთაველის გამზ.N3

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამსახურის ხელმძღვანელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 21

სხდომის ჩატარების თარიღი: 2022 წლის 21 ნოემბერი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა, რუსთაველის გამზ.N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, ხათუნა არველაძე.

სულ: 7 წევრი.

არ ესწრებოდნენ: კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დავით ნიშნიანიძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ნიშნიანიძემ.საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი